



მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №16

2017 წლის 28 თებერვალი

ქ. მცხეთა

მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნავდარაანთკარის ტერიტორიაზე სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 72.04.18.446) და მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გალავნის ტერიტორიაზე შპს „333 გრადუსის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 72.04.18.200) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის მშენებლობისათვის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის, პირველი ნაწილის „ბ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი თავის, მე-2 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტის, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59-ე დადგენილების 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის 27 თებერვლის №08/2/3016 მომართვის საფუძველზე,

1. დამტკიცდეს მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნავდარაანთკარის ტერიტორიაზე სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 72.04.18.446) და მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გალავნის ტერიტორიაზე შპს „333 გრადუსის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 72.04.18.200) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის მშენებლობისათვის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების გეგმარებითი დავალება თანდართული დანართით წარმოდგენილი პროექტების შესაბამისად (დანართი: 1. „მცხეთა, სოფელ ნავდარაანთკარის ტერიტორიაზე სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 72.04.18.446) და მცხეთა, სოფელ გალავნის ტერიტორიაზე შპს „333 გრადუსის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 72.04.18.200) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება“).
2. განკარგულების შესახებ ეცნობოს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: მცხეთა, სამხედროს ქ №17.

